# საქართველოს მთავრობის
# განკარგულება

N 1483 2019 წლის 26 ივნისი ქ. თბილისი

**საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოქმედებითი საქართველოს მიერ პროექტ „Check in Georgia-ის“ ფარგლებში ტურისტულად მნიშვნელოვანი კულტურული ღონისძიების დაფინანსების შესახებ**

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „თ“ და „ი“ ქვეპუნქტების შესაბამისად, დაევალოს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – შემოქმედებით საქართველოს, კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოს პროექტ „Check in Georgia-ის“ ფარგლებში ტურისტულად მნიშვნელოვანი კულტურული ღონისძიების – „ANAKLIA ECHOWAVES-ის“ დაფინანსება 2 559 600.00 (ორი მილიონ ხუთას ორმოცდაცხრამეტი ათას ექვსასი) ლარით, „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით მისთვის განსაზღვრულ ასიგნებათა ფარგლებში (პროგრამული კოდი: 32100130).

**პრემიერ-მინისტრი** **მამუკა ბახტაძე**